შუალედური ანგარიში №1*
16 აპრილი – 3 მაისი, 2010 წელი

7 მაისი, 2010 წელი

I. მოკლე შინაარსი

- 2010 წლის 30 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა ადგილობრივი არჩევნები 2010 წლის 30 მაისისთვის დანიშნა. არჩევნების შედეგად განხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის 63 წარმომადგენლობითი ორგანოსა და თბილისის თვითმართველობის ორგანოს წევრების არჩევა, ასევე პირველად ჩატარდება თბილისის მერის პირდაპირი არჩევნები. თვითმართველობის ორგანოების არჩევა შერეული პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე მოხდება.

- 2009 წლის დეკემბერში მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი ერთიან საარჩევნო კოდექსში. მხედველობაში იქნა მიღებული ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) წინა რეკომენდაციები. მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი საარჩევნო კოდექსი ზოგადად ხელს უწყობს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას, იგი შეიცავს მთელ რიგ არსებით ხარვეზებს.

- არჩევნების ადმინისტრირებას ახორციელებს სამ-დონიანი სტრუქტურა, რომელიც შედგება ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო), 73 საოლქო საარჩევნო კომისიისა და დაახლოებით 3,619 საუბნო საარჩევნო კომისიისგან. ცესკო-ს ახალი თავმჯდომარე პარლამენტმა 2010 წლის იანვრის თვეში აირჩია. საარჩევნო კოდექსში შესული ბოლო საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი აირჩევა ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნულ წევრთაგან.

- რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა დაახლოებით 3, 6 მილიონია. წინა-საარჩევნო პერიოდში პოლიტიკურმა პარტიებმა მიიღეს სახელმწიფო დაფინანსება ამომრჩეველთა სიების გადასამოწმებლად; თუმცა ვნებათაღელვა სიების სიზუსტესთან დაკავშირებით კვლავ შეინიშნება.

- ცესკო-მ ამ არჩევენებისთვის 26 პოლიტიკური პარტია დაარეგისტრირა. როგორც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას განუცხადეს ეს იყო ყოვლისმომცველი და გამჭვირვალე სარეგისტრაციო პროცესი. საერთო ჯამში

---

* ამ დოკუმენტის მხოლოდ ინგლისურენოვანი ვერსია არის ოფიციალური.

13 პოლიტიკურმა პარტიამ და 3 ბლოკმა წარადგინა პარტიული სიები და კანდიდატები არჩევნებში კენჭის საყრელად.

- პოლიტიკური გარემო პოლარიზებულია, ბევრი ოპოზიციური პარტია ბოიკოტს უცხადებს პარლამენტის მუშაობას. პარლამენტს გარეთ დარჩენილი პარტიების ნდობა ხელისუფლების მიმართ დაბალია. საარჩევნო კამპანია ძალებს იკრებს, განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია ბრძოლა თბილისის მერობისთვის.

- ვინაიდან მედია გარემო საქართველოში მრავალფეროვნებით გამოირჩევა მედია პოლიტიკური ნიშნითაა დაყოფილი და გაისმის პოლიტიკური ზეწოლის ბრალდებები. საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მეორე არხის მაუწყებლობა დაიწყო, რომელიც ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს მუდმივ საეთერო დროს სთავაზობს. ერთიანი საარჩევნო კოდექსი უზრუნველყოფს უფასო და ფასიან საეთერო დროს სახელმწიფო და კერძო მედია საშუალებებში. რამდენიმე პარტია უკმაყოფილებას გამოთქვამდა სატელევიზიო ფასიანი რეკლამის მაღალ ტარიფებთან დაკავშირებით.

- ერთიანი საარჩევნო კოდექსი უზრუნველყოფს საარჩევნო დავების გადაწყვეტას საარჩევნო ადმინისტრაციისა და სასამართლოს გზით. პოზიტიურ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს საჩივრების შეტანის ვადების გახანგრძლივება. ცესკო-სა და სასამართლოებში რამდენიმე საჩივარი უკვე შევიდა.

- ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების სადამკვირვებლო მისია თბილისში მუშაობას ოფიციალურად 16 აპრილს შეუდგა. მისია 15 ექსპერტისა და 24 გრძელვადიანი დამკვირვებლისგან შედგება, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით 11 ადგილას იმუშავებენ. ძირითადი გუნდი და გრძელვადიანი დამკვირვებლები ეუთოს 22 წევრი ქვეყნიდან არიან მოწვეული.

II. შესავალი

2010 წლის 30 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ადგილობრივი არჩევნები 2010 წლის 30 მაისისთვის დანიშნა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევისა და OSCE/ODIHR-ის შემფასებელი მისიის რეკომენდაციის საფუძველზე OSCE/ODIHR-მა 2010 წლის 16 აპრილს არჩევნების სადამკვირვებლო მისია მოავლინა, რომელსაც ელჩი ოდრი გლოვერი ხელმძღვანელობს. მისია თბილისში ბაზირებული 15-წევრიანი ძირითადი ჯგუფისა და 24 გრძელვადიანი დამკვირვებლისგან შედგება, რომელთა განთავსება 25 აპრილს მთელი ქვეყნის მასშტაბით 11 სხვადასხვა ადგილას განხორციელდა. ძირითადი ჯგუფის წევრები და გრძელვადიანი დამკვირვებლები ეუთოს 22 წევრი ქვეყნიდან არიან მოწვეული. ამ ქვეყნებს ეთხოვათ, გამოგზავნონ

350 მოკლევადიანი დამკვირვებელი, რომლებიც ხმის მიცემის, ხმების დათვლისა და შეჯამების პროცესს დააკვირდებიან.

III. პოლიტიკური კონტექსტი

30 მაისის ადგილობრივი არჩევნების შედეგად არჩეულ იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის 63 წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და საქართველოს დედაქალაქის თბილისის თვითმართველობის ორგანოს – საკრებულოს წევრები, ასევე პირველად მოხდება თბილისის მერის პირდაპირ არჩევა. თბილისის მერისგან განსხვავებით საქართველოს სხვა თვითმმართველი ქალაქების მერების არჩევა არაპირდაპირი გზით განხორციელდება. ამას გარდა, 30 მაისს ჩატარდება შუალედური საპარლამენტო არჩევნები სამი ერთ-მანდატიანი ვაკანტური ადგილის დასაკავებლად.

2008 წლის საპარლამენტო არჩევნები ,,ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოიგო, რომელმაც 150 ადგილიდან 119 დაიკავა. პოლიტიკური გარემო მას შემდეგ მკვეთრად პოლარიზებული რჩება. მრავალმა ოპოზიციურმა პარტიამ ბოიკოტი გამოუცხადა პარლამენტის მუშაობას არჩევნების, მათი მტკიცებით, დარღვევებით ჩატარების მიზეზით. 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებულმა კონფლიქტმა ხელი შეუწყო პოლიტიკური დაძაბულობის ზრდას. 2009 წლის აპრილის თვეში თბილისში ფართომასშტაბიანი დემონსტრაციები გაიმართა. მონაწილეები მოითხოვდნენ კონსტიტუციური და საარჩევნო რეფორმების გატარებას, ასევე მედიისა და სასამართლო სისტემის თავისუფლებას და პოლიტ პატიმრების გათავისუფლებას. ვაშინგტონში დაფუძნებული საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ხელშეწყობით 2009 წლის მარტში საარჩევნო რეფორმის სამუშაო ჯგუფის მიერ დაწყებული მოლაპარაკებების შედეგად 2009 წლის დეკემბერში ერთიან საარჩევნო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. მიუხედავად ზოგიერთი პარტიის ბოიკოტისა, პარლამენტი მონაწილეობას იღებდა ამ პროცესში საპარლამენტო პარტიებთან ერთად. მათმა უმეტესობამ საბოლოო შეთანხმებას ხელი არ მოაწერა.

IV. სამართლებრივი ბაზა და საარჩევნო სისტემა

საქართველოში სამართლებრივ ბაზას არჩევნებისთვის წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია (1995, ბოლო შესწორებები შევიდა 2010 წელს) და ერთიანი საარჩევნო კოდექსი (2001, ბოლო შესწორებები შევიდა 2010 წელს), ასევე კანონი თვითმართველობის შესახებ, კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ, და სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსების შესაბამისი დებულებები და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გამოცემული სამართლებრივი საკანონმდებლო აქტები (დადგენილებებისა და განკარგულებების ჩათვლით). ერთიანმა საარჩევნო კოდექსმა მიღების დღიდან მთელი რიგი ცვლილებები განიცადა. ბოლოდროინდელი მნიშვნელოვანი ცვლილება 2009 წლის დეკემბერში განხორციელდა, გათვალისწინებულ იქნა

OSCE/ODIHR-ის წინა რეკომენდაციები[1]. შეიცვალა ცესკო-ს თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენისა და არჩევის პროცედურა, ასევე შემოღებულ იქნა თბილისის მერის პირდაპირი არჩევნების სისტემა.

მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი საარჩევნო კოდექსი ზოგადად ხელს უწყობს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას, იგი შეიცავს მთელ რიგ არსებით ხარვეზებს. ერთიანი საარჩევნო კოდექსი, ეწინააღმდეგება რა ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.5 პუნქტს, კენჭისყრის უფლებას არ რთავს დამოუკიდებელ კანდიდატებს. პატიმრობაში მყოფ პირებს, განურჩევლად ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და სასჯელის ვადის ხანგრძლივობისა, არ აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. გარდა ამისა, დებულებები, რომელიც არეგულირებს პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ საარჩევნო კამპანიის შეუზღუდავ წარმოებას და ამ მიზნისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას, არათანაბარ პირობობებში აყენებს კენჭისყრაში მონაწილე სუბიექტებს.

საკრებულოს წევრების არჩევა მოხდება 4 წლის ვადით, შერეული პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე. პროპორციული სისტემით გამოყოფილი ადგილები განაწილდება იმ პარტიებსა და კოალიციებს შორის, რომლებიც შეძლებენ 5%-იანი (თბილისში 4%-იანი) ბარიერის გადალახვას. ერთ-მანდატიან საარჩევნო ოლქებში მანდატების მოპოვებას შეძლებენ ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ ხმების უმეტესობას. მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების მერებს აირჩევენ საკრებულოები. თბილისის მერის არჩევა მოხდება ნამდვილად ცნობილი საარჩევნო ხმების უმრავლესობით. კანდიდატმა უნდა დააგროვოს ხმების მინიმუმ 30% რომ ჩაითვალოს არჩეულად. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ერთი თვის ვადაში ტარდება მეორე რაუნდი იმ ორ კანდიდატს შორის, რომელთაც ხმების უმეტესობა მოიპოვეს.

V. საარჩევნო ადმინისტრაცია

არჩევნების ადმინისტრირებას ახორციელებს სამ-დონიანი სტრუქტურა, რომელიც შედგება ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო), 73 საოლქო საარჩევნო კომისიისა და დაახლოებით 3,619 საუბნო საარჩევნო კომისიისგან. თითოეული კომისია დაკომპლექტებულია 13 წევრისგან. მათგან შვიდი წარდგენილია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პოლიტიკური პარტიების მიერ.

ცესკო არის მუდმივმოქმედი ორგანო, რომელსაც ხელმძღვანელობს 2010 წლის იანვარში დანიშნული თავმჯდომარე. გარდა პოლიტიკური პარტიების მიერ

[1] 2010 წლის ცვლილების შედეგად შეიცვალა კანდიდატებისთვის არჩევნებში მონაწილეობის მოთხოვნები. კანდიდატისთვის არ არის სავალდებულო საკრებულოს იმ ტერიტორიაზე იყოს რეგისტრირებული, სადაც კენჭს იყრის. კანდიდატისთვის საქართველოში ცხოვრების მინიმალური პერიოდი 10-დან 5 წლამდე შემცირდა. 2010 წელს მიღებული სხვა ცვლილებები ტექნიკური ხასიათისაა.

წარდგენილი შვიდი კანდიდატისა, ცესკოს დანარჩენი წევრების წარდგენა მოხდა პრეზიდენტის, ხოლო მათი დანიშვნა პარლამენტის მიერ. ცესკო-ს თავმჯდომარის განცხადებით იგი შეეცდება, რომ ცესკოს ყველა გადაწყვეტილება მიღებულ იქნას კონსენსუსის საფუძველზე. დღემდე ცესკო-მ კენჭი უყარა არაერთ საკითხს, უმეტეს შემთხვევაში კონსენსუსი იყო მიღწეული. ცესკოს საქმიანობა გამჭვირვალე და ყოვლისმომცველია. იგი დროულად აწვდის ინფორმაციას დამკვირვებლებს მომდევნო სესიების შესახებ. სესიები ტარდება რეგულარულად და ოქმების განთავსება ცესკო-ს ვებ გვერდზე რამდენიმე დღეში ხორციელდება. თუმცა ცესკო ასევე ატარებს არაოფიციალურ შეხვედრებს, სადაც დამკვირვებლებს, როგორც წესი, არ იწვევენ.

საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შედის ღია კონკურსის საფუძველზე შერჩეული ხუთი უპარტიო წევრი, რომელთაც ცესკო ნიშნავს ხუთი წლის ვადით. არჩევნების გამოცხადების შემდეგ დაინიშნა რვა დამატებითი წევრი, მათგან შვიდი პოლიტიკური პარტიების, ხოლო ერთი – ცესკო-ს მიერ. საუბნო საარჩევნო კომისიები, რომლებიც ყოველი არჩევნებისთვის ხელახლა იქმნება, ბოლო ვადის ამოწურვამდე ანუ 26 აპრილამდე დაკომპლექტდა. ერთიან საარჩევნო კოდექსში შესული ბოლოდროინდელი ცვლილებების თანახმად საუბნო საარჩევნო კომისიების მდივნები არჩეულ იქნა ოპოზიციის მიერ წარდგენილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების მიერ.

30 მაისის არჩევნებისთვის ცესკო-მ გადაწყვიტა დაამონტაჟოს სამეთვალყურეო ვიდეო კამერები ყველა საარჩევნო უბანში თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის მასშტაბით, რაც გათვალისწინებულია ერთიანი საარჩევნო კოდექსით და იგი წინა არჩევნებშიც იქნა გამოყენებული.

VI. ამომრჩეველთა რეგისტრაცია

ცესკო პასუხისმგებელია ამომრჩეველთა ცენტრალიზებული რეესტრის უზრუნველყოფაზე. 15 აპრილის მონაცემებით რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობამ 3,565,373 შეადგენა. აქედან, დაახლოებით 120,000 რეგისტრირებული ამომრჩეველი, რომელთაც საქართველო 2008-2009 წლებში დატოვეს და 2010 წლის 14 მაისამდე ქვეყანაში არ დაბრუნდებიან, ამომრჩეველთა სიებში აღნიშნული იქნებიან როგორც საზღვარგარეთ მყოფი. ამ სტატუსის მქონე ამომრჩევლებმა ხმის მისაცემად უნდა წარადგინონ პასპორტი ქვეყანაში შემოსვლის დამადასტურებელი ბეჭდით.

15 აპრილის მონაცემებით დაფიქსირდა რეგისტრაციიდან მოხსნილი 11,281 ამომრჩეველი. მათი სამოქალაქო რეესტრიდან მოხსნა განხორციელდა სახლის მეპატრონეების მოთხოვნის საფუძველზე, რომლის თანახმად სახლის მისამართზე რეგისტრირებული ამომრჩეველი ფაქტიურად არ ცხოვრობდა რეგისტრაციის ადგილზე. ეს ამომრჩევლები ამოღებულ იქნენ იმ საარჩევნო უბნების სიებიდან, სადაც ბოლოს იყვნენ რეგისტრირებულნი. თუმცა მათ არ ეცნობათ სიებიდან ამოღების შესახებ. ცესკოს 2 მაისის დადგენილების თანახმად ამ ამომრჩევლებს

საშუალება ეძლევათ, მონაწილეობა მიიღონ საკრებულოს წევრთა პროპორციულ არჩევნებში (და თბლისში, თბილისის მერის არჩევნებში) იმ შემთხვევაში, თუ ისინი ბოლო რეგისტრაციის ადგილის მიხედვით დარეგისტრირდებიან შესაბამისი ოლქის საარჩევნო კომისიაში 14 მაისამდე.

2009 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად ამომჩევლებს, რომლებმაც ოფიციალური მისამართი 2010 წლის 15 იანვრიდან შეიცვალეს, არ აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. როგორც სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ OSCE/ODIHR-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას აცნობა ამ ცვლილების საფუძველზე დაახლოებით 9,000 ადამიანი მხოლოდ ძველი რეგისტრაციის ადგილზე შეძლებს არჩევნებში ხმის მიცემას.

აღსანიშნავია, რომ ამომრჩეველთა რეესტრი შეიცავს 47,793 ამომრჩევლის მონაცემს, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო აქვთ არასრული მისამართები. აქედან 29,775 ამომრჩეველი რეგისტრირებულია თბილისში. ამ კატეგორიის ამომრჩველების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები შეიცავს მხოლოდ მუნიციპალიტეტის დასახელებას და აქედან გამომდინარე ისინი არ არიან რეგისტრირებულნი კონკრეტული საარჩევნო უბნის საარჩევნო სიაში. ცესკო გახსნის ცალკე საარჩევნო უბნებს, სადაც ამ კატეგორიის ამომრჩეველებს ხმის მიცემის საშუალება ექნებათ, თუმცა მხოლოდ საკრებულოს არჩევნების პროპორციული სეგმენტისთვის (და თბილისში ასევე ქალაქის მერის არჩევნებისთვის).

9 აპრილის მონაცემებით 6,930 ამომრჩეველი დარჩა დროებითად შეყვანილი საარჩევნო რეესტრში ზემო აფხაზეთის, ლიახვისა და ახალგორის ოლქებში, სადაც ადგილობრივი არჩევნები არ ჩატარდება. აღნიშნული ამომრჩევლები შესაბამისად ვერ შეძლებენ ხმის მიცემას, ვინაიდან ისინი ჯერ არ არიან რეგისტრირებულნი როგორც იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც ერთიანი საარჩევნო კოდექსის თანახმად მონაწილეობას იღებენ არჩევნებში რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ან დარჩნენ აღნიშნულ ტერიტორიებზე 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ.

ერთიან საარჩევნო კოდექსში 2009 წელს შეტანილი ცვლილებების თანახმად პოლიტიკურ პარტიებს საშუალება მიეცათ სახელმწიფოს დაფინანსებით გადაემოწმებინათ ამომრჩეველთა სიები. 10 აპრილის მონაცემებით 14 პოლიტიკურმა პარტიამ წარადგინა საკუთარი მონაცემები, რის საფუძველზეც ცესკომ შეიტანა 80,000-მდე შესწორება საარჩევნო სიებში. ცესკო-მ ეს ინიციატივა შეაფასა როგორც ზოგადად სასარგებლო და ეფექტური. ამომრჩევლებსა და პარტიებს ახლა შესაძლებლობა აქვთ, გადაამოწმონ ამომრჩეველთა სიები საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში და საჭიროებისამებრ მოითხოვონ შესწორებების შეტანა 14 მაისამდე. კანონის შესაბამისად გვარების მიხედვით დაბეჭდილ სიებთან ერთად რაიონულ ცენტრებსა და ქალაქებში ცესკომ დაბეჭდა ამომრჩეველთა სიები მისამართების მიხედვით.

VII. კანდიდატთა რეგისტრაცია

ადგილობრივი არჩევნების ჩასატარებლად უნდა მოხდეს პოლიტიკური პარტიების ცესკო-ში რეგისტრაცია. 3 აპრილამდე, ანუ განაცხადების მიღების ბოლო ვადამდე, ცესკო-ში სულ 39 პარტიის განაცხადი შევიდა. აქედან 16-ს, რომელიც მონაწილეობას არ იღებდა წინა საპარლამენტო არჩევნებში, 10 აპრილამდე მინიმუმ 30,000 მხარდამჭერის ხელმოწერა უნდა წარედგინა. ცესკომ მხარდამჭერთა სიების გადამოწმება განახორციელა პარტიის წარმომადგენლების თანდასწრებით. შეცდომების აღმოჩენის შემთხვევაში პარტიებს ეძლეოდათ ორი დღე სიების შესასწორებლად, რის შემდეგაც მოხდა სიების თავიდან გადამოწმება. ექვსმა პარტიამ ვერ შეძლო ხელმოწერების დროულად შეტანა ცესკო-ში, ხოლო ოთხ პარტიას უარი ეთქვა რეგისტრაციაზე სიებში აღმოჩენილი ხარვეზების გამო.

საერთო ჯამში ცესკო-ში 26 პარტია დარეგისტრირდა, რაც OSCE/ODIHR-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ შეაფასა როგორც ყოვლისმომცველი და გამჭვირვალე პროცესი. ცესკოს მიერ თავიდანვე რეგისტრირებული ორი პარტია „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ და „ქართული დასი“ საკუთარი სურვილით გამოეთიშნენ არჩევნებს. ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა ათმა პარტიამ ჩამოაყალიბა სამი საარჩევნო ბლოკი.[2] თითოეულ რეგისტრირებულ პარტიას და ბლოკს უფლება ჰქონდა საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის წარედგინა კანდიდატთა სიები 30 აპრილამდე. თბილისში პროპორციული პარტიული სიები და თბილისის მერობის კანდიდატები მერის არჩევნებისთვის წარდგენილ იქნა ცესკო-ში. როგორც ცესკო-მ OSCE/ODIHR-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას აცნობა, საქართველოს მასშტაბით კანდიდატთა სიები 13 პარტიამ და 3 ბლოკმა წარადგინა. 14 პროპორციული სია წარდგენილ იქნა თბილისის საკრებულოს არჩევნებისთვის. საერთო ჯამში წარდგენილ იქნა 4,519 მაჟორიტარი კანდიდატი. თბილისის მერის არჩევნებისთვის რეგისტრირებულ იქნა ცხრა კანდიდატი.

VIII. პოლიტიკური გარემო და საარჩევნო კამპანია

პოლიტიკური გარემო კვლავ პოლარიზებულია. პარლამენტს გარეთ დარჩენილი პარტიების ნდობა ხელისუფლებისადმი მინიმალურია. თუმცა ზოგიერთმა ოპოზიციურმა პარტიამ OSCE/ODIHR-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან გამოხატა ფრთხილი მოწონება ცესკო-ს თავმჯდომარის მიმართ მისი

[2] ყველაზე დიდმა ოპოზიციურმა პარტიამ – ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ, რომელმაც პარლამენტში ადგილები 2008 წლის არჩევნების შემდეგ დაიკავა, შექმნა ბლოკი ორ სხვა პარტიასთან ერთად. ორი ბლოკი შეიქმნა არა-საპარლამენტო პარტიების მიერ. „ალიანსი საქართველოსთვის“ ოთხ პარტიას აერთიანებს, მათ შორისაა „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები,“ რომლის ლიდერი ირაკლი ალასანია, ყოფილი ელჩი გაეროში, არის ბლოკის მიერ წარდგენილი კანდიდატი თბილისის მერის პოსტზე. საქართველოს ყოფილი პრემიერ მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი წამყვანი ფიგურაა სამ-პარტიულ “ეროვნული საბჭოს“ ბლოკში, რომლის კანდიდატი თბილისის მერობის პოსტზე არის კონსერვატიული პარტიის ლიდერი ზვიად ძიძიგური.

პირდაპირობისა და გამჭვირვალობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ოპოზიციური პარტია მიესალმა სახელმწიფო დაფინანსების შემოღებას საარჩევნო სიების გადასამოწმებლად, ბევრი კვლავ გამოხატავს შეშფოთებას სიების სიზუსტესთან დაკავშირებით. ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის განცხადებით ადგილი აქვს დარღვევებს, მათ შორის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის, ასევე ოფიციალური პირების მიერ კამპანიის წარმოებას და მათი აქტივისტებისა და კანდიდატების დაშინებას. ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, NDI-ის მხარდაჭერით, მოამზადეს მემორანდუმი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ, რომელშიც მოცემულია ახსნა-განმარტება ერთიანი საარჩევნო კოდექსის ზოგიერთი დებულების თაობაზე. კოდექსზე „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ხელი უკვე მოწერილი აქვს და, როგორც მოსალოდნელია, არჩევნებში მონაწილე სხვა პოლიტიკური პარტიები და ბლოკებიც ხელს მოაწერენ. საპარლამენტო ინტერ-ფრაქციული ჯგუფი არის ადგილი, სადაც არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს შეუძლიათ არჩევნებთან დაკავშირებული სადავო საკითხების წამოყენება და გადაჭრა.

საარჩევნო კამპანია აქტიურად მიმდინარეობს. დღემდე ბევრი ოპოზიციური პარტია ძირითადად ყურადღებას თბილისის მერის არჩევნებზე ამახვილებს. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა კამპანიას სხვებზე უფრო აქტიურად ატარებენ დედაქალქის გარეთ. ბევრი პარტია გამოთქვამს უკმაყოფილებას თბილისის მერის არჩევნებში 30%-იანი ბარიერის გამო. რომელიც ოპოზიციური პარტიების დაქსაქსულობის გამო ხელს აძლევს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს, თბილისის ამჟამინდელ მერს გიორგი უგულავას. ოპოზიციის მცდელობები, დაესახელებინათ ერთიანი კანდიდატი თბილისის მერის თანამდებობაზე, კრახით დასრულდა.

ზოგიერთმა პარტიამ გადაწყვიტა არ დარეგისტრირებულიყო 30 მაისის არჩევნებისთვის, აცხადებდა რა, რომ არ იყო სათანადო პირობები სამართლიანი ბრძოლის საწარმოებლად. მათ რიცხვში შედის ლეობორისტული პარტია, რომელმაც 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების პროპორციულ ნაწილში ხმების 7.4% დააგროვა, ასევე „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო,“ რომლის ლიდერია პარლამენტის ყოფილი სპიკერი ნინო ბურჯანაძე, რომელმაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 2008 წელს დატოვა.

IX. მედია

მიუხედევად იმისა რომ მედია გარემო საქართველოში მრავალფეროვნებით ხასიათდება, მედია პოლიტიკური ნიშნითაა დაყოფილი. მხოლოდ ოთხმა მედია საშულებამ მოახერხა გაეტარებინა დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკა. საერთაშორისო და ადგილობრივი მედია ორგანიზაციები ბრალს სდებენ მთავრობის ოფიციალურ პირებსა და ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს სარედაქციო და პროგრამულ პოლიტიკაზე გავლენის მოხდენაში აღმასრულებელ მედია მფლობელებისა და აღმასრულებელ თანამდებობაზე მყოფ პირებთან პირადი

კავშირების საშუალებით. ბეჭდვითი მედია გვთავაზობს აზრთა ფართო დიაპაზონს და ზოგიერთი პუბლიკაცია ღიად აკრიტიკებს მთავრობას, მაგრამ მათი ტირაჟი და პოტენციური გავლენა მნიშვნელოვნად დაბალია ტელევიზიასთან შედარებით, რომელიც პოლიტიკური ინფორმაციის მიღების ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა.

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი სამი ტელევიზიისა და ორი რადიო სადგურისგან შედგება. კერძო ტელე კომპანიები „რუსთავი 2“ და „იმედი“, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობს, ყველაზე პოპულარულ და გავლენიან არხებად ითვლება საქართველოში. ორივე არხი ფართოდ აღიქმება მთავრობის მხარდამჭერად. ორი შედარებით მცირე არხი „კავკასია“ და „მაესტრო“ ოპოზიციურ არხებად ითვლება. ისინი ძირითადად თბილისსა და მის შემოგარენში მაუწყებლობენ.

2010 წლის თებერვალში საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მეორე არხის მაუწყებლობა დაიწყო, რომელიც ცოცხლად გადასცემს პარლამენტის სხდომებს, შეხვედრებსა და აქციებს, რაც ოპოზიციურ პოლიტიკური პარტიებისთვის მუდმივ საეთერო დროს უზრუნველყოფს. ამ არხის გავრცელების არეალი „პირველი არხთან“ შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლებია. 2009 წლის დეკემბერში პარლამენტმა ცვლილება შეიტანა კანონში მაუწყებლობის შესახებ, რომლის თანახმად საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის წლიური დაფინანსება განისაზღვრა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 0,12 %-ით. ახალი სისტემა მიზნად ისახავს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას და სწორად გატარების შემთხვევაში მან უნდა უზრუნველყოს მაუწყებლის მეტი ფინანსური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა მთავრობისგან.

ერთიანი საარჩევნო კოდექსი არეგულირებს მედიის ქცევას საარჩევნო კამპანიის პერიოდში, მათ შორის უფასო და ფასიანი საეთერო დროის გამოყოფას საარჩევნო სუბიექტებისთვის. კანონი ერთმანეთისგან განასხვავებს ,,კვალიფიციურ” და ,,არაკვალიფიციურ” სუბიექტებს. მოთხოვნები, რომელიც შეეხება თანაბარი პირობების შექმნას დებატების წარმოებისა და უფასო საეთერო დროის გამოყოფისთვის, მოიცავს მხოლოდ „კვალიფიციურ“ კანდიდატებს[3]. ,,საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა” უფასო რეკლამებისთვის თითოეული კვალიფიციური სუბიექტისთვის ყოველ საათში 60 წამი გამოყო უფასო საარჩევნო რეკლამისთვის, საზოგადოებრივი მაუწყებელი იგივე დროის გამოყოფას აპირებს თითოეული არაკვალიფიციური სუბიექტისთვის.

[3] კვალიფიციური სუბიექტი არის პოლიტიკური პარი ან ბლოკი, რომელიც პარლამენტში ფრაქციით არის წარმოდგენილი ან უკანასკნელ არჩევნებში პროპორციული სისტემის საფუძველზე მიიღო საქართველოს ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 4%-ისა. არაკვალიფიციურმა სუბიექტმა უფასო საეთერო დროის მისაღებად კი, უნდა დაადასტუროს ხალხის მხარდაჭერა საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებით.

,,საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი", ისევე როგორც ეროვნული და რეგიონული მაუწყებლები მუდმივად გადმოსცემდნენ „თოქ შოუებსა" და დებატებს კანდიდატებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის, რაც კანდიდატებს აზრთა ურთიერთგაზიარების საშუალებას აძლევს. ,,საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" 8 მაისისთვის დანიშნა დებატები „კვალიფიცირებული" სუბიექტების მიერ დასახელებული თბილისის მერობის ხუთ კანდიდატს შორის. რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ უკმაყოფილება გამოთქვა OSCE/ODIHR-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიასთან სატელევიზიო ფასიანი რეკლამის მაღალ ტარიფებთან დაკავშირებით, რაც ზღუდავს მათ შესაძლებლობებს, აწარმოონ მედია კამპანია. მაგალითად „რუსთავი 2"-ზე პოლიტიკური რეკლამის ტარიფი თითქმის 10-ჯერ აღემატება არაპოლიტიკური კომერციული რეკლამის ტარიფს. აქედან გამომდინარე საარჩევნო სუბიექტები ინტენსიურად იყენებენ უფასო რეკლამისთვის გამოყოფილ საეთერო დროს. ამრიგად, დღესდღეობით მხოლოდ სამი საარჩევნო კონკურენტი ყიდულობს საეთერო დროს – ესენია გიორგი უგულავა („რუსთავი 2" და „იმედი"), ირაკლი ალასანია („კავკასია") და პარტია „სამართლიანობა საქარველოსთვის" („მაესტრო" და „კავკასია").

18 აპრილიდან OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისია საარჩევნო კამპანიის გაშუქების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მონიტორინგს 8 ტელეკომპანიისა[4] და ორი გაზეთის[5] საშუალებით აწარმოებს.

X. საჩივრები და განცხადებები

ერთიანი საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს საარჩევნო დავების გადაწყვეტას საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ან სასამართლოს გზით. საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებების გასაჩივრება შეიძლება განხორციელდეს ზედა ინსტანციის საარჩევნო კომისიებში. ცესკო-ს გადაწყვეტილებების გასაჩივრება კი ხდება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ. საოლქო საარჩევნო კომისიების და ცესკო-ს როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის მეორე ინსტანციის გადაწყვეტილებების გასაჩივრება ხორციელდება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება ხორციელდება სააპელაციო სასამართლოში. საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში შედის არჩევნების კონსტიტუციურობის თაობაზე დავების განხილვა.

ინდივიდუალურ ამომრჩევლებს უფლება აქვთ შეიტანონ საჩივარი მხოლოდ საარჩევნო სიაში შეყვანასა და მათი ან მათი ოჯახის წევრების მონაცემებში ცვლილებების შეტანაზე. პოზიტიურ წინსვლად უნდა ჩაითვალოს რომ 2009 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად საარჩევნო კომისიებში საჩივრების შეტანის და სასამრთლოს მიერ განაცხადების განხილვის ვადები 1-დან 2 დღემდე

---

[4] პირველი და მეორე არხი (საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი), ,,რუსთავი 2", „იმედი", „მზე", ,,კავკასია", „მაესტრო", Real TV და ,,ტელეკომპანია აჭარა".

[5] ,,რეზონანსი" და ,,24 საათი".

გახანგრძლივდა. თუმცა საოლქო საარჩევნო კომისიასა და ცესკო-ში შეტანილი განაცხადების ვადები მხოლოდ ერთი დღეა, რაც საქმის ეფექტური განხილვისა და გადაწყვეტისთვის სავსებით არასაკმარისია. ცესკო-ს მიერ საჩივრების განსახილველად მიღებული პროცედურები საუბნო საარჩევნო კომისიაში არჩევნების დღეს შესულ საჩივრებში მხოლოდ ტექნიკური შეცდომების გასწორების საშუალებას იძლევა. თუმცა ზუსტი ვადა ამგვარი კორექტირებისთვის განსაზღვრული არ არის, ამის ნაცვლად დებულებაში ნახსენებია „საკმარის დროში."

დღემდე ცესკო-მ განიხილა ორი საჩივარი და ერთი განაცხადი. 28 აპრილს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) შეიტანა საჩივარი ცესკო-ში. საიას განცხადებით თბილისის მერმა დაარღვია დებულება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ. ცესკო აღნიშნულ საქმეს 13 მაისს განიხილავს. თბილისის საქალაქო სასამართლოში შევიდა სამი საჩივარი ცესკოს გადაწყვეტილებებზე. არც ერთი მათგანი არ იქნა დაკმაყოფილებული. ორი საჩივარი შეეხებოდა პოლიტიკური პარტიებისთვის – „საქართველოს მწვანეები" და „მამული" რეგისტრაციაზე უარის თქმას. მესამე განცხადება, რომელიც კონსერვატიულმა პარტიამ შეიტანა, ეხებოდა ცესკო-ს დადგენილებას სამეთვალყურეო კამერების დაყენებაზე საარჩევნო უბნებში მხოლოდ თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. კონსერვატიული პარტიის განცხადებით არ იყო დაცული გამჭვირვალობა ყველა საარჩევნო უბანზე. სასამართლომ დაადგინა, რომ ცესკო-მ აღნიშნული დადგენილება მიიღო დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში და რომ კამერები არ არის არჩევნების გამჭვირვალობის გარანტი. საქალაქო სასამართლოს სამი გადაწყვეტილება გაიგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. სამივე შემთხვევაში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეუცვლელი დატოვა.

XI. ქალთა მონაწილეობა

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის თანასწორობას, იგი არ შეიცავს კონკრეტულ დებულებას გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაზე. ყველაზე მნიშვნელოვანი კანონი ქალსა და კაცს შორის თანასწორობაზე არის „კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ", რომელიც ძალაში შევიდა 2010 წლის 12 აპრილს. სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა შემოღებულიყო სამართლებრივი მექანიზმი ქალების არჩევნებში მონაწილეობის წასახალისებლად პარლამენტმა 2008 წელს განიხილა, მაგრამ შედეგად რაიმე კონკრეტული ზომები მიღებული არ ყოფილა.

ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი აღმასრულებელ ორგანოებში. ქალების წილი პარლამენტში ამჟამად არის 6,5 %, 2006 წელს ეს ციფრი 10,5-%ს შეადგენდა. 18 სახელმწიფო მინისტრიდან მხოლოდ ერთია ქალი. 2006 წლის ადგილობრივ არჩევნებში საკრებულოს 1,590 წევრიდან 177 (11%) იყო ქალი. ამჟამად სუსტი სქესის წარმომადგენელს საქართველოში არსად არ უკავია მერის თანამდებობა.

მხოლოდ ორ საკრებულოს ხელმძღვანელობს მდედრობითი სქესის წარმომადგენელი.

ეროვნულ უმცირესობებს კონსტიტუციით მინიჭებული აქვთ სრული პოლიტიკური უფლებები. 2002 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით (რომელშიც არ შედიოდა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი), ეროვნული უმცირესობები მოსახლეობის 16,2%-ს შეადგენს. ყველაზე დიდ უმცირესობას წარმოადგენენ აზერბაიჯანელები (6,5%) და სომხები (5,7%). მათი დიდი რაოდენობა ცხოვრობს სამხრეთ რეგიონებში აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვართან. სხვა ეროვნულ უმცირესობებს წარმოადგენენ რუსები, ოსები, ბერძნები, ებრაელები, აფხაზები და ქურთები. არიან ბოშებიც, მაგრამ ისინი ოფიციალურად არ არიან აღიარებული როგორც უმცირესობა. შესაბამისად, მათი რაოდენობაც გაურკვეველია.

ცესკო გეგმავს საარჩევნო მასალების რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და ოსურ ენებზე დარიგებას იმ რეგიონებში, რომელთა მოსახლეობის უმრავლესობას ეროვნული უმცირესობები შეადგენს.

XIII. ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

ერთიანი საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულია ადგილობრივი და საერთაშირისო დამკვირვებლების მონაწილეობა. ყველა დამკვირვებელს ენიჭება უფლება, დააკვირდეს მთელს საარჩევნო პროცესს. 1 მაისის მონაცემებით ცესკოში აკრედიტაცია გაიარა 16 ადგილობრივმა და ოთხმა საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციამ. ძირითადი ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებია ,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება", ,,ახალი თაობა - ახალი ინიციატივა" და ,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", რომლებიც გრძელვადიან მონიტორინგს აწარმოებენ.

,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" არჩევნების დღეს 1,000 დამკვირვებლის განლაგებას გეგმავს. ,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" და ,,ახალი თაობა - ახალი ინიციატივა" გეგმავენ განახორციელონ მონიტორინგი თბილისსა და სხვა ძირითად ქალაქებში.

XIV. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის საქმიანობა

OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის ოფისი თბილისში 2010 წლის 16 აპრილს გაიხსნა. მისიის ხელმძღვანელი შეხვდა პარლამენტის თავმჯდომარეს, საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრების მოადგილეებს, პოლიტიკური პარტიების ლიდერებს, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, ეუთოს წევრი

ქვეყნების ელჩებს, მათ შორის ყაზახეთის ელჩს, როგორც ეუთოს მომქმედი თავმჯდომარის წარმომადგენელს და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ შეხვედრები გამართა სამთავრობო ინსტიტუტებთან და მუდმივი კონტაქტი დაამყარა ცესკო-სთან, პოლიტიკურ პარტიებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და მედიასთან.